საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№245 2017 წლის 13 სექტემბერი ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ქეთევან ჯაყელი – ა(ა)იპ – საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის (MSPA) საჯარო პოლიტიკის ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარე;

ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ჩიქოვანი – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;

მამია ჯანჯალია – სსიპ – საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ დირექტორი;

ირაკლი შურღულაია – ა(ა)იპ – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროფესიული (დუალური) განათლებისა და კვალიფიკაციების ექსპერტი;

ეკატერინე ნარეშელაშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;

ანასტასია ქიტიაშვილი – სსიპ – ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – საქართველოს (MCA – Georgia) პროექტის – „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;

მიხეილ ჭელიძე – ა(ა)იპ – საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტი;

ელენე ალადაშვილი – ა(ა)იპ – საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი, ა(ა)იპ - სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდის ფილიალის საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითარების დირექტორი;

მანანა მახარაშვილი – შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Natali Academy-ის" ხარისხის მენეჯერი;

თამარ ტაბიძე – ა(ა)იპ – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ლექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიული განათლების ექსპერტი.

გიორგი კვირიკაშვილი